726 w 8413

პიონერი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 17 (297) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 8 სექტემბერი

აუვადი, ტურფა ქვეყანავ,
ილსინე, ივერთ მსარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!

გიორგი ლეონიძე

„დედაენა“

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!

დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი,
მგალობელი ფრინველი.

იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა.

ტკბილად რომ გაგვიხარა
ჩვენ ბავშვობა ბეჩავი —
შავი კაბით გაზრდილებს,
გახუნებულ ლეჩაქით.

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული!

ამ წიგნიდან გაბრწყინდა
ქართლის დიდი მთიები,
პირველ ფურცელს გაშლიდა
გამოხატულს იებით.

ის ამ წიგნში უსმენდა
ნაკადულს და ტოროლებს,
საწყალ ხარის ტირილსა,
ხმასევდიან ოროველს.

ხმას გაყინულ კაცისას,
სიცივით რომ კვდებოდა,
მზე საწყალი კაცისა,
გორას მიჰფარებოდა.

მას უყვარდა ეს წიგნი,
ჭრელი აბგის მშვენება,
მოიგონებს და შუქი,
გულზე დაეშენება.

ვიგონებთ და გვახარებს,
რომ აქვს გულში ჩართული, —
ჩვენი წიგნი ლამაზი,
„დედაენა“ ქართული!

1940.



გიყვარდეთ სწავლა, გიყვარდეთ შრომა, გახდით ღირსეული მოქალაქეები!

რესპუბლიკის, დედაქალაქის სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების მოსწავლეებს და სტუდენტებს!

ჭვირფასო ამხანაგებო, ჩვენო ნორჩო ცვლავ!

დადგა განსაკუთრებული დღე საბჭოთა ახალგაზრდობის, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში — იწყება ახალი სასწავლო წელი. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო თქვენთვის — მოსწავლეებო, თქვენი მასწავლებლებისათვის, აღმზრდელებისათვის, ყოველი ოჯახისთვის, სადაც ბავშვები არიან. ეს არის მოვლენა მთელი სოციალისტური საზოგადოებისათვის, რომელიც თავის მომავლის გეგმებს, ამოცანებს უკავშირებს ქვეყნის მშრომელთა არმიის შევსებას უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებელთა აღსაზრდელებით.

ყოველწლიურად ჭაბუკებისა და ქალიშვილების დიდი რიცხვი იწყებს დამოუკიდებელ შრომით ცხოვრებას, ყოველ სექტემბერს სასწავლებლის კედლებში მიდიან ახალგაზრდობის ახალი ჯგუფები. როგორადაც არ უნდა გავდეს ერთმანეთს მეცადინეობათა პირველი დღეები, როგორადაც ჩვეულებრივი არ უნდა იყოს დღის განაწესი, მეოთხედების, სემესტრების ცვლა, გამოცდების და ჩათვლების დრო, ყოველ სასწავლო წელს მოაქვს სიახლე, ასახავს ცხოვრებაში მომხდარ წინსვლებს, დროის მოთხოვნებს.

განსაკუთრებით შესამჩნევია ეს წინსვლა განათლების ხარისხისადმი. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია იწვევს მკვეთრ ცვლილებას მატერიალური წარმოების სფეროში, სოციალურ ცხოვრებაში, გავლენას ახდენს თვით ადამიანზე. მეცნიერებამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა თანამედროვე სამყაროში, მნიშვნელოვანი სარბიელი გახადა ორი სისტემის სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების შეჯიბრებისათვის.

პროგრესი განსაზღვრავს ადამიანთა ცოდნას, ჩვევებს, შემოქმედებით პოტენციალს, ორგანიზატორულ უნარს, იდეურ წრთობას, კომუნისტურ რწმენას, თავისი შრომის მნიშვნელობისა და საზოგადოებრივი ხასიათის მაღალშეგნებას, მათ საერთო კულტურას, მსოფლმხედველობის არეს, ინტერესების სფეროს. აი, რატომ არის, რომ პარტია და მთავრობა ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენს ქვეყანაში განათლების მთელი სისტემის სრულყოფას. აი, რატომ არის, რომ სკკპ XXIV

(დასასრული მე-2 გვ.).



იოსებ ნონეშვილი

მასწავლებელი

მასწავლებელი — მშობლის
ალერსით
ამოქარგული ტკბილი ანბანი,
მასწავლებელი — ნორჩის
თვალებში
ჩაშუქებული ცოდნის ლამპარი.
მასწავლებელი — ჩვენს
სიყვარულში
განათებული, როგორც ოცნება,
მასწავლებელი — სინდის-ნამუსი,
მხოლოდ ხალასი პატიოსნება.
მასწავლებელი — დედის
გულივით
მუდამ კეთილი, მუდამ ნეტარი.
მასწავლებელი — ბავშვის
სურვილი:
მასწავლებელი გახდე ნეტავი.
მასწავლებელი — გულისხმიერი,
ვთვლიდით აღმზრდელად,
ვთვლიდით მეგობრად.
მასწავლებელი — მასზე ძლიერი,
მასზე სწავლული არვინ გვეგონა.
მასწავლებელი — ამ ქვეყანაზე
სიტყვით ქებული, საქმით ქებული.
მასწავლებელი — დედაენაზე,
მშობელ ენაზე შეყვარებული.
მასწავლებელი—სიტყვა ფრთიანი,
მუდამ მამულზე ფიქრით
გართული,
მასწავლებელი — მართლაც
ტრფიალი,
რაც კი კარგია, რაც კი ქართული.

მასწავლებელი — ღამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი,
მასწავლებელი — ზოგჯერ
უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.
მასწავლებელი — რამ
დაგვავიწყოს,
ჩვენთვის ზრუნავდა, ჩვენთვის
შრომობდა,
ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ
იყო,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა.
ბევრი სარდალი, ითქვას
მართალი,
იბრძოდა მტკიცედ და
გულგოროზად,
მაგრამ სად იყო ქვეყნად
სარდალი,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა.
ზოგმა სიცოცხლის შუქი მოგვფინა,
კეთილი ვეღარ სძლია ბოროტმა,
ქვეყნად ბელადიც არა ყოფილა,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა.
მასწავლებელი—გულს ჩახატული
დიდი ფიქრები, დიდი სურვილი.
მასწავლებელი—მზე, გაზაფხული,
მთები, ყანები ოქროცურვილი.
მასწავლებელი — ცოდნის
ნათელით
უსწავლელობის დამმარცხებელი...
აი, რას ნიშნავს მასწავლებელი,
აი, რად გვიყვარს მასწავლებელი
მასწავლებელი — ღამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი.
მასწავლებელი — ზოგჯერ
უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი

გიყვარდეთ სწავლა, გიყვარდეთ შრომა, გახდით ღირსეული მოქალაქეები!

(დასასრული)

ყრილობამ დასახა ხუთწლედისათვის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება.

— XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა სტუდენტთა საკავშირო შეკრებაზე, — თითქოს და საბჭოთა ახალგაზრდებს გადასცემენ სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პროგრესის ესტაფეტას. ყრილობამ საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მოუწოდა, იყვნენ წარმოებისა და ცხოვრების მაღალი კულტურისათვის, ჩვენს სინამდვილეში კომუნისტური ნორმების დამკვიდრებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

პარტიის ყრილობის მითითებათა განვითარების მიზნით უკანასკნელ ხანს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს კონკრეტული დადგენილებანი საშუალო სკოლის შემდგომი განვითარების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში მუშათა კადრების მომზადების, უმაღლესი განათლების სრულყოფის შესახებ. გადაწყვეტილია აგრეთვე გაუმჯობესდეს სტუდენტებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა პირობები, გაუდიდდეს განაკვეთი და თანამდებობრივი ხელფასი სკოლების მასწავლებლებს, სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკებს, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხი არ აქვთ. ყოველივე ეს მეტყველებს, თუ რაოდენ ბევრს მოელის ჩვენი პარტია, ჩვენი ქვეყანა სასწავლებლებისაგან, თქვენგან, მოსწავლეებისა და სტუდენტებისაგან, რაოდენ ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ თქვენ განათლებული ადამიანები, დიდებული სპეციალისტები, თქვენი სოციალისტური საშობლოს ღირსეული მოქალაქეები გახდეთ.

მეცნიერების კაშკაშა მწვარვალებს რომ მივაღწიოთ, საჭიროა დავძლიოთ მისი დაკლაკნილი კლდოვანი ბილიკები. საჭიროა შეუპოვრობა და ნებისყოფა, მოთმინება, შრომა, თანმიმდევრულობა. ცნობილია, რომ ყველაზე ძნელი გზირობა ის არის, რომელსაც ყოველდღიურად ჩადიან, როცა გვიწევს დავძლიოთ საკუთარი ინერტულობა, სიზარმაცე, აღვზარდოთ საკუთარი თავი. **სწავლა — ეს არის ყოველდღიური გულმოდგინე შრომა.** იმარჯვებენ, მაღალ ზღუდეებს აღწევენ ყველაზე ცნობისმოყვარენი, შეუპოვარნი. **ინტერესი და მოვალეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი თავის, ახლობლების, მთელი საზოგადოების წინაშე — აი ის მთავარი სტიმულები, რომლებიც ამოძრავებენ ნორჩ მოქალაქეს სწავლების მნიშვნელოვან ქამს.** რამდენადაც სერიოზულად ეპყრობა იგი ცხოვრებას, რამდენადაც მეტს ფიქრობს მომავალზე, მით უფრო მტკიცედ განსაზღვრავს თავის შემდგომ გზას, უფრო დამაჯერებლად ირჩევს საქმეს თავისი მისწრაფებებისა და შესაძლებლობათა შესაბამისად.

სიჭაბუკისათვის დამახასიათებელია ინტერესთა სიფართოვე, გატაცება, შთამბეჭდაობა. მნიშვნელოვანია, რომ მათ კონტროლს უწევდეს გონება, თავისი მოვალეობის შეგნება გარემომცველთა წინაშე, როგორც კომპასი, რომელიც არ იძლევა საშუალებას, გადავუხვიოთ ცხოვრების მტკიცე კურსს.

უნდა ისწავლოთ დროის ფასი.

უზარმაზარი და სულ უფრო მზარდი სიჩქარეების, ცოდნის სწრაფი დაგროვების, ყოველგვარი სხვა ინფორმაციის ჩვენს საუკუნეში, როცა განვითარების საყოველთაო ტენდენცია ხდება დაჩქარება, საჭიროა შევამჩნიდროვოთ დრო, გავაჯეროთ იგი საქმეებით, აზრებით, არ მივცეთ უფლება ქაოტურად, უსარგებლოდ, უქვალოდ მიედინებოდეს. წარსული დრო უკან არ დაგვიბრუნდება, და არაფერია ტყუილუბრალოდ დახარჯულ წლებზე უფრო მწარე.

დაუმეგობრდით წიგნებს! მასში თავმოყრილია ადამიანების მიერ დაგროვილი მთელი ცოდნა, სულიერი ცხოვრების მთელი სიუნჯე. კომუნისტი რომ გახდე, აფრთხილებდა ახალგაზრდობას ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, საჭიროა ყველა იმ სიმდიდრის ცოდნის დაუფლება, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია. წიგნი ჭკვიანი მეგობარი, მიმზიდველი მთხრობელი, მომთმენი მასწავლებელია. ის არის დაუშრეტელი წყარო, რომელსაც უნარი შესწევს დაგვიოყოს სულიერი წყურვილი. წიგნის უზარმაზარ ოკეანეში ყოველი პოულობს იმას, რაც მას სჭირდება. დაე, კითხვისადმი მისწრაფება თქვენი მუდმივი თანამგზავრი გახდეს! ხოლო წიგნისადმი სიყვარული გულისხმობს პატივისცემასა და მისადმი სათუო დამოკიდებულებას, მისწრაფებას. გავუხანგრძლივოთ მას სიცოცხლე, ხელი შეუწყოთ იმას, რომ წიგნი კიდევ დიდხანს ემსახურებოდეს ბევრ მკითხველს.

შეარჩიეთ ხელები შრომას. ახალგაზრდობიდან შეძენილი შრომითი ჩვევები უფრო დამოუკიდებელს, საკუთარ ძალებში დარწმუნებულს ხდიან ადამიანს. ეხმარებიან შემოქმედებითი უნარის გამოვლენასა და განვითარებაში. ვინც არ უნდა გახდეს დღევანდელი მოსწავლე თუ სტუდენტი, მარჯვე ხელები მუდამ გამოადგება მას: ინჟინერს — ჩარხების სრულყოფაში, მეცნიერს — ლაბორატორიული ექსპერიმენტების დაყენებაში, მუშას — პროფესიული ოსტატობის მწვერვალების დაპყრობაში, რაციონალიზაციაში, გამომგონებლობაში. ადამიანის პროფესიის მიუხედავად ფიზიკურ შრომას, რომელშიც ვლინდება მისი უნარი, ჩვევები, ინდივიდუალობა, დიდი კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობა მოაქვს.

საბჭოთა ქვეყანა თავის ახალგაზრდა თაობას ზრდის პატრიოტებად, ლენინური პარტიის ნათელი იდეალების, კომუნიზმის იდეალების ერთგულებად. პატრიოტიზმი ფართო, ტევადი ცნებაა. იგი მოიცავს მთელს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, რომელმაც კაცობრიობას მომავლის გზა გაუკაფა, აგრეთვე კონკრეტულ მოვლენებს, როგორიც არის მშობლიური სახლი, ქუჩა, ქალაქი, რესპუბლიკა. სწორედ ხომ მათგან იწყება თითოეული ჩვენგანისათვის სამშობლო.

თქვენი მშობლიური ქალაქი თბილისია — მოსწავლე, სტუდენტი ახალგაზრდობა შეადგენს საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის საბრძნობ ნაწილს. ათასობით მოზარდმა, ჭაბუკმა და ქალიშვილმა აილო დღეს კურსი სკოლებისაკენ, უმაღლესი სასწავლებლებისაკენ, ტექნიკუმებისაკენ. შეხედეთ მათ, ეს არის უზარმაზარი ძალა — ნორჩ თბილისელთა მრავალათასიანი არმია. რაოდენ ბევრი საინარგებლო, კარგი რამ შეუძლიათ გააკეთონ მათ მშობლიური ქალაქისათვის, თუ თითოეული მათგანი იგრძნობს თავს მის ბატონ-პატრონად, განიმსჭვალება პასუხისმგებლობის გრძნობით, მზადყოფნით, გახდეს მაღალი კულტურისათვის, საზოგადოებრივი წესრიგისათვის მებრძოლი.

ჭუჩების სისუფთავე, მოქალაქეთა შორის ურთიერთპატივისცემითი დამოკიდებულება, კეთილი სურვილისა და საზოგადოებრივ ადგილებში სიმყუდროვის ატმოსფერო, თბილისის მთელი გარეგანი სახე და ზნეობრივი კლიმატი ბევრად არის დამოკიდებული თქვენზე, ახალგაზრდა მოქალაქეებო, იმაზე, თუ როგორ იქცევა თითოეული თქვენგანი, როგორ აგებს თავის დამოკიდებულებას გარშემო მყოფებთან და როგორ უწევობს ხელს მშობლიური ქალაქის კარგ სახეს. იყავით მშობლიური ქვეყნის, რესპუბლიკის, ქალაქის პატრიოტები — არა სიტყვით, არამედ საქმით, დაადასტურეთ თქვენი სიყვარული მისადმი.

ძვირფასო ნორჩო თბილისელებო, გილოცავთ დღესასწაულს — ახალი სასწავლო წლის დაწყებას და გისურვებთ ფრთაღშე სწავლას, წარმატებით მომზადებას სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომისათვის. გაუფრთხილდით და გაამრავლეთ უფროსი თაობის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები, იყავით აქტიური მებრძოლები მშობლიური კომუნისტური პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად.

ნიკოლოზ მუსხელიშვილი, — აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, **ილია ვეკუა** — აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, **პირიპა ზავრიევი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორი, **დავით ლომაძე** — სკკპ წევრი 1917 წლიდან, **ლადო გუდიაშვილი** — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, **ირაკლი აბაშიძე** — პოეტი-აკადემიკოსი, **ვერიკო ანჯაფარიძე** — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, **ნონა გაფრინდაშვილი** — მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, **იაკობ ხვედელიანი** — სოციალისტური შრომის გმირი, დომბროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, **ნიკოლოზ ჯაფარიძე** — სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, **ბრუნო ოგოლაძე** — სოციალისტური შრომის გმირი, თბილგვირაბმშენის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, **ემთარ სოლომონია** — სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველი, **კუზმა ლუბავსკი** — სოციალისტური შრომის გმირი, თბილგვირაბმშენის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი.

ნატალია ზაუტაშვილი დიდხანს ცხოვრობდა ბულგარეთში, სადაც სოფიის უნივერსიტეტში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას. რამდენიმე ხნის წინათ იგი დაბრუნდა თბილისში, ამჟამად ასწავლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში. ბულგარეთში ყოფნისას ნატალია ზაუტაშვილმა შეაგროვა და შეისწავლა მასალები ჩვენი თანამემამულის, ბულგარეთის სახალხო გმირის ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთლის მოღვაწეობის შესახებ. ვაქვეყნებთ მის წერილს.

ბულგარეთის სახალხო გმირი



ბულგარეთში, ქალაქ პლოვდივის ერთ-ერთ ქუჩაზე პატარა ფირნიშია წარწერით: „თავად წერეთლის ქუჩა“. და განა მარტო ქუჩა? პლოვდივის ახლოს მდებარეობს სოფელი, რომელიც წერეთლის სახელს ატარებს. ქალაქის ძველ ნაწილში მოთავსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მუზეუმში სპეციალური ექსპოზიციაა მიძღვნილი ალექსი წერეთლისადმი, შესანიშნავი ადამიანისადმი, რომლის სახელიც ქალაქის ისტორიასთან, აპრილის აჯანყების გმირულ დღეებთან და ბულგარეთის განთავისუფლებასთან არის დაკავშირებული.

ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთელი დაიბადა 1848 წელს პენზის გუბერნიაში. მან ბრწყინვალე განათლება მიიღო ჯერ ოჯახში, მერე შვეიცარიაში, ლოზანაში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

1869 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გაემგზავრა თურქეთსა და სერბიაში. მოგზაურობიდან დაბრუნებული დაინიშნა ახიის დეპარტამენტში, საგარეო საქმეთა სამინისტროში. მოკლე დროში კი — გენერალური საკონსულოს მდივნად ბულგარეთში. 1873 წელს იგი ჯერ მდივნის თანაშემწეა, შენდეგ კი კონსტანტინეპოლში რუსული საელჩოს მეორე მდივანია.

მაშინ ბულგარეთი, როგორც სახელმწიფო, არ არსებობდა. ბულგარელი ხალხი ხუთი საუკუნის განმავლობაში თურქეთის უღლის ქვეშ იმყოფებოდა და გაუგონარ ტანჯვას, დამცირებას, სისტემატურ განადგურებას, თვითნებობასა და ძარცვა-გლეჯას განიცდიდა დამპყრობ ფეოდალთა მიერ. ბულგარელი ხალხი მამაცურად და შეუპოვრად იცავდა მშობლიურ კერას, ენასა და ნიწას. 1876 წელს იფეთქა აპრილის ცნობილმა აჯანყებამ ლოზუნგით: „სრული თავისუფლება ან სიკვდილი“.

ამ თავისუფლების მოპოვებამ დიდი მსხვერპლი შეიწირა. დამპყრობთა მიერ ჩადენილ მხეცობაზე რომ უფრო ადრე გაემახვილებინა და ხმა აემაღლებინა რუსეთისა და დასავლეთის საზოგადოებას, საჭირო იყო უცილობელი მამხილებელი მასალები. ეს დამამტკიცებელი საბუთები ძირითადად ალექსი წერეთლმა გამოამზეურა.

1876 წლის 5 ივნისს ალექსი წერეთელი დროებით გაგზავნეს პლოვდივში კონსტანტინეპოლში გამომძახებული ვიცე-კონსულის ნ. გეროვის შემცვლელად. საფრთხის მიუხედავად, ალექსი წერეთელმა მოიარა დარბეული ადგილები და დაუყოვნებლივ აცნობა პეტერბურგსა და კონსტანტინეპოლს ბულგარელთა აუტანელი მდგომარეობა.

ალექსი წერეთელი ცდილობდა აღმოეჩინა სათანადო დახმარება დევნილი და ლტოლვილი ბულგარელი ხალხისათვის. მან შეძლო ბულგარელთა დასახმარებლად ჩამოეყალიბებინა უცხოელთა საქველმოქმედო საზოგადოება და ამ საქმეში ჩაება ყველა ის უცხოელი კონსული, რომლებიც ბულგარეთში იმყოფებოდნენ.

ამერიკელ კონსულ იუდ. სკაილერთან ერთად, რომელსაც მეგზურობდა ალექსი წერეთელი ბულგარეთში, ხელი მოაწერეს ისტორიული მნიშვნელობის მქონე საერთო გამოძიების ოქმს. ალექსი წერეთელი გამოძიების შემდეგ დაუბრუნდა თავის სამსახურს კონსტანტინეპოლში. ელჩ ნ. ეგნატიევის დავალებით კონსტანტინეპოლის კონფერენციისათვის თურქეთის მდგომარეობისა და ბულგარეთის საკითხის განსახილველად წერეთელმა და ამერიკელმა კონსულმა იუდ. სკაილერმა შეადგინეს „ბულგარეთის ორგანიზაციის გეგმა“. ამ პროექტის მიხედვით ბულგარეთს უნდა მიეღო სრული ავტონომია.

კონფერენცია გაიმართა 1876 წლის დეკემბერში კონსტანტინეპოლში. ბაგრამ თურქეთმა იხვლისის მზარდაჭერით არ მიიღო ეს პროექტი და რუსეთმა 1877 წლის 12 აპრილს ომი გამოუცხადა თურქეთს.

ალექსი წერეთელი რუს დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ერთად ტოვებს კონსტანტინეპოლს და ბალკანეთის ფრონტზე მიემგზავრება. ალექსი წერეთელი ბულგარეთში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას. რამდენიმე ხნის წინათ იგი დაბრუნდა თბილისში, ამჟამად ასწავლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში. ბულგარეთში ყოფნისას ნატალია ზაუტაშვილმა შეაგროვა და შეისწავლა მასალები ჩვენი თანამემამულის, ბულგარეთის სახალხო გმირის ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთლის მოღვაწეობის შესახებ. ვაქვეყნებთ მის წერილს.

ალექსი წერეთელი ბალკანეთის ფრონტზე მიემგზავრება. ალექსი წერეთელი ბულგარეთში, ხელი მოაწერეს ისტორიული მნიშვნელობის მქონე საერთო გამოძიების ოქმს. ალექსი წერეთელი გამოძიების შემდეგ დაუბრუნდა თავის სამსახურს კონსტანტინეპოლში. ელჩ ნ. ეგნატიევის დავალებით კონსტანტინეპოლის კონფერენციისათვის თურქეთის მდგომარეობისა და ბულგარეთის საკითხის განსახილველად წერეთელმა და ამერიკელმა კონსულმა იუდ. სკაილერმა შეადგინეს „ბულგარეთის ორგანიზაციის გეგმა“. ამ პროექტის მიხედვით ბულგარეთს უნდა მიეღო სრული ავტონომია.

კონფერენცია გაიმართა 1876 წლის დეკემბერში კონსტანტინეპოლში. ბაგრამ თურქეთმა იხვლისის მზარდაჭერით არ მიიღო ეს პროექტი და რუსეთმა 1877 წლის 12 აპრილს ომი გამოუცხადა თურქეთს.

ალექსი წერეთელი რუს დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ერთად ტოვებს კონსტანტინეპოლს და

ა ი გ ე გ ა ი ლ ი ა ს ა ხ ა ლ ი მ ე მ ო რ ი ა ლ უ რ ი მ უ ზ ე უ მ ი


ამას წინათ მწერალთა კავშირის სასახლეში გაიმართა ყვარელში ილია ჭავჭავაძის მემორიალური მუზეუმის პროექტის (ავტორები — ვიქტორ ჯორბენაძე, ქეთევან კობახიძე) განხილვა.

პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა ვიქტორ ჯორბენაძემ დამსწრეთ მოახსენა, რომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ სამხატვრო აკადემიას შეუკვეთა ყვარლის ილია ჭავჭავაძის მემორიალური სახლ-მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზის პროექტის შედგენა. სახლ-მუზეუმს ააშენებს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო. ვიქტორ ჯორბენაძემ იქ მყოფთ დეტალურად გააცნო სახლ-მუზეუმის პროექტი.

პროექტის შესახებ აზრი გამოთქვეს იოსებ ნონეშვილმა, თამაზ ჭილაძემ, ვახტანგ ტაბლიაშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, მორის ფოცხიშვილმა, რევაზ მარგიანმა, ნოდარ გურეშიძემ, ალეკო შენგელიამ, სერგი ჭილაიამ, სერგი წულაძემ, ვახტანგ ჯახუტაშვილმა, ბესარიონ ქენტმა.

მათ აღნიშნეს, თუ რაოდენ კეთილი და მისასალმებელი საქმე ითავა კულტურის სამინისტრომ. პროექტის შესახებ ითქვა, რომ იგი გადაწყვეტილია საინტერესოდ, ახლებურად, ამასთან, ძალზე ერთვნულიც არის. მასში ტრადიცია და თანამედროვეობა შერწყმულია იღბლიანად. პროექტის განხორციელებისას, ალბათ, გათვალისწინებული იქნება მასალაც, რაც მეტად მნიშვნელოვანი პირობაა ამა თუ იმ პროექტისათვის საბოლოო სახის მისაცემად.

სახლ-მუზეუმი დიახაც ღირსეული ძეგლი იქნება, ისეთი, როგორიც შეეფერება დიდ ილიას.



შეკრებილებმა ერთსულოვნად მოიწონეს ყვარლის ახალი მემორიალური მუზეუმის პროექტი, გამოთქვეს იმედი, რომ არქიტექტორები, მშენებლები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა კარგად წარიმართოს მისი მშენებლობა.

კ ო ნ კ უ რ ს ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ ი





საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, კულტურის სამინისტრომ და მხატვართა კავშირმა წელს მესამედ მოაწყეს ბარათაშვილის ძეგლის კონკურსი.

1968 და 1970 წელს კონკურსზე პირველი პრემია არავის მიუნიჭებია, მეორე პრემია კი საქართველოს დამსახურებული მხატვრის ბორის ციბაძის ნამუშევრებმა მოიპოვეს. ეხლახან გამართულ კონკურსზეც ჟიურიმ ყველაზე მეტად ბორისის მიერ წარმოდგენილი ძეგლი მოიწონა და იგი დასადგმელად დაამტკიცა.

სურათებზე: ბარათაშვილის ძეგლი, რომელიც თბილისში დადგმება. მისი სიმაღლე 6 მეტრი იქნება; მხატვარი ბორის ციბაძე.

ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ე რ თ ი მ ე ს ა ძ ე ღ ი — ს წ ა ვ ლ ა ს ა დ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ა ში

ივლის-აგვისტოში ჩვენს დედაქალაქ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებში, ხეივნებსა და ეზოებში მოსაწყენი სიჩუმე სუფევდა. ბავშვები ისვენებდნენ, ჯანს იკაჟებდნენ ბორჯომის ხეობაში, კოჯორში, კიკეთში, წყნეთში, მანგლისში, ლებარდეში, ბახმაროში, შოვში, თეთრწყაროში, ქობულეთში, მწვანე კონცხზე, სოხუმში, გაგრასა და რიწაში, ბავშვთა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, პიონერულ ბანაკებსა და ტურისტულ ბაზებში, ჩვენს მადლიან მთა-ბარში, ბებიებთან და პაპებთან...

...წარსულში ულმობელ მომსვდურთა თავდასხმების დროს, ქალები და ბავშვები ალაზნის, არაგვის, ლიახვის, ივრის, რიონის, ცხენისწყლის, ენგურის, კოდორის, ბზიფის ხეობების ზედაწელში იხიზნებოდნენ, რათა თავი გადაერჩინათ. დღეს ამ ხეობებში გაშენებული სოფლები წარმტაცი ბაღ-ვენახებითა და ხოდაბუნებით, მოჩხრიალე ნაკადულებითა და მრავალფეროვანი მცენარეული საფარით, სიყვარულით იხუტებენ ჩვენს მოზარდებს.

20-22 აგვისტოდან ქალაქის ქუჩებში აქა-იქ მორცხვად გამოჩნდნენ აგარაკებიდან და სოფლებიდან დაბრუნებულთა პირველი მეგზურები, იმატა ჟრიამულმა, 28-31 აგვისტოს კი ეს ჟრიამული გაგანია გუგუნად იქცა. 1 სექტემბერს უკლებლივ ყველგან სასკოლო მერხებს მიუსხდნენ და უმაღლესი თუ საშუალო სპეციალური სასწავლებლების აუდიტორიებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში თავიანთი ადგილები დაიკავეს ცეროდენა ბიჭუნებმა და გოგონებმა, ქალური კდემამოსილებით დამშვენებულმა ქალიშვილებმა და ულვაშაღერებულმა ჭაბუკებმა. სწავლებაში ჩაება მილიონნახევარი ადამიანი — საქართველოს მოსახლეობის ლამის ერთი მესამედი.

როგორ ნაწილდება ეს მილიონნახევარი: რესპუბლიკის საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში გაერთიანებულია 130 ათასამდე ბავშვი; ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს მილიონ 60 ათასი მოზარდი, პროფესიულ ტექნიკუმებში 60 ათასამდე სტუდენტია, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 40 ათასამდე ახალგაზრდაა. უმაღლეს სასწავლებლებში 92 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. მათ აღზრდას, განათლებასა და სწავლებას ემსახურება 150 ათასამდე აღმზრდელი, მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. ამ ციფრების საერთო ჯამი მილიონნახევრამდე აღწევს.

რესპუბლიკაში გატარებულია რვაწლიანი სავალდებულო განათლება და წარმატებით ხორციელდება საყოველთაო განათლება საშუალო სკოლის ფარგლებში. ჯერ კიდევ 1941 წლისათვის საშუალო სკოლების ქსელი საკმაოდ ფართოდ იყო გაშლილი, რესპუბლიკაში არსებობდა 900-მდე სხვადასხვა საშუალო სკოლა (მკითხველს შევახსენებთ, რომ რევოლუციამდე ამ ტიპის სკოლების რიცხვი 50-მდე აღწევდა), რომელთა უფროს კლასებში სწავლობდა ელემენტარული სკოლების კურსდამთავრებულთა 80 პროცენტზე მეტი. დღეისათვის დასახელებული სკოლების რაოდენობა 1900 აჭარბებს, სადაც უფროს კლასებში სწავლობს ელემენტარული სკოლების კურსდამთავრებულთა 95-96 პროცენტი. ამიტომ არის, რომ ამ მხრივ საქართველო ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად ითვლება მსოფლიოში.

ნამდვილად უმაგალითოა ის დონე, რასაც უმაღლესმა განათლებამ მიაღწია. მეფის დროს საქართველოში იყო მხოლოდ ერთადერთი კერძო უმაღლესი სკოლა — ქალთა პედაგოგიური კურსები... 1918 წელს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — ეს დიდი კერა ქართული მეცნიერული აზროვნებისა და დღეს ფართოდ განტოტებული ინსტიტუტების ქსელის დედა. ამჟამად რესპუბლიკის 18 უმაღლეს სასწავლებელში გაერთიანებული სტუდენტების რიცხვი 20-ჯერ აჭარბებს 1920-21 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე სტუდენტების რაოდენობას. მოსახლეობის საერთო სულადობასთან უმაღლესი განათლების მქონე პირთა შეფარდების თვალსაზრისით საქართველო აგრეთვე ერთერთი მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ საბჭოთა საქართველოში ამჟამად არსებული უმაღლესი სკოლები და მათი ფაკულტეტები თანაბარი სისრულით პასუხობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და ხალხის გაზრდილ სულიერ მოთხოვნებს როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და განათლების, ისე კულტურისა და ხელოვნების სფეროში.

საქართველოში დღეისათვის არსებობს მძლავრი ქსელი საშუალო ტექნიკური და პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა, ეს ქსელი თითქმის 30-ჯერ აღემატება მეფისდროინდელ საქართველოში არსებულ ქსელს, სადაც მათში გაერთიანებული მოზარდების შეფარდება შემდეგი სახით შეიძლება გამოვხატოთ — 1:40. განსაკუთრებით ნიშანდობლივი საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ განათლებისათვის თანამედროვე პირობებში ის არის, რომ უნარიანად წარმოებს ქსელისა და მუშაობის შინაარსის შეფარდება იმ მოთხოვნილებებთან, რაც გამოწვეულია სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვით.

1941 წლიდან საქართველოში არსებობს მეცნიერებათა აკადემია სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მზარდი ქსელით, 1972 წლისათვის მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში კვლევით მუშაობას ეწევა ასეულობით სამეცნიერო დაწესებულება, კვლევითი ინსტიტუტი, სადგური, ლაბორატორია.

რესპუბლიკის მოსახლეობის მაღალ წიგნიერ დონეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1971 წლის განმავლობაში საქართველოში გამოიცა 2.400-მდე სახელწოდების წიგნი 18 მილიონამდე ტირაჟით, 120 სახელწოდების ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა, 130 სახელწოდების გაზეთი.

ხალხის მზარდ კულტურულ მოთხოვნილებებს რესპუბლიკაში ამჟამად ემსახურება ორი ოპერისა და ბალეტის და 18 დრამატული თეატრი, 6 ათასზე მეტი საბიბლიოთეკო დაწესებულება, ისტორიული და სხვა სახის მუზეუმი, კლუბი, კინო-თეატრი და სხვა სანახაობითი დაწესებულება. 1913-1914 წლისათვის, მეფისდროინდელ საქართველოში სულ იყო დასახელებული ტიპის 70-მდე დაწესებულება, მათ შორის 26 ბიბლიოთეკა, 3 თეატრი, 3 მუზეუმი.

რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვი 4.500 აღწევს. ამათგან დაწყებითია 1495-მდე სკოლა, რვაწლიანი — 1120, საშუალო—1885. საქართველო მრავალეროვანი რესპუბლიკაა — სწავლება ამ სკოლებში ეწევა სხვადასხვა ენაზე მიმდინარეობს — ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე. ქართულ სკოლებში სწავლობს ბავშვთა და მოზარდთა საერთო რაოდენობის 70-მდე პროცენტი. საერთოდ კი ბავშვთა განაწილება სწავლების ენათა მიხედვით პროპორციულად თანაბრად შეეფარდება სხვადასხვა ეროვნებათა საერთო სულადობას. დედაენაზე სწავლება სულ და ღონეა საბჭოთა სკოლისა. ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე დედაენაზე სწავლება ურღვევ კანონად გამოცხადდა და მისი განხორციელებისათვის ზრუნვა უპირველეს საგნად არის მიჩნეული.

საბჭოთა საქართველომ მძლავრად აიღგა ფეხი ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე და უკვე 4-5 წლის შემდეგ სკოლამდელი სწავლება უკლებლივ ყოველგან — საბავშვო ბაღებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში — დედაენაზე მიმდინარეობდა. ამ დიდ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა დამწერლობის, მწერლობისა და საერთოდ კულტურის სფეროში საუკუნეების განმავლობაში დაგროვილმა და შემონახულმა ჩვენმა მაღალმა სულიერმა კულტურამ, რომლის აღდგენა-აღორძინებისათვის ესოდენ თავგამოდებით იბრძოდნენ სახელოვანი ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწეები და მათი მომდევნო ინტელიგენციის მოწინავე თაობანი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა კავშირში, და მაშასადამე, საბჭოთა საქართველოშიც არის საძირკველი ყოველგვარი შემდგომი განათლებისა. მის წამყვან საწყისად ყოველთვის ითვლებოდა და დღესაც ითვლება გონებრივი განათლება, მოზარდთა შეიარაღება ჭეშმარიტი მეცნიერული ცოდნით, რომლის დაუფლება ჩვენი სკოლისათვის არის მიზანიცა და საშუალებაც. მიზანი იმიტომ, რომ მეცნიერებათა საფუძვლების მკვიდრი ცოდნის გარეშე ახალგაზრდობა ვერ მოახერხებს თვალი გაუსწოროს ცხოვრებას და ქმედითად ჩაებას მის ფერხულში, სამუშაოება იმიტომ, რომ ქსეთი ცოდნის გარეშე მწყობრი, მაღალიდეური მსოფლმხედველობის გამომუშავება შეუძლებელია. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ სკოლაში მეორეხარისხოვან საქმედ ითვლებოდეს ახალგაზრდობის ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური აღზრდა, მათი მომზადება შრომითი საქმიანობისათვის. საბჭოთა სკოლა მიზნად ისახავს ჰარმონიულად შემკული ახალგაზრდების აღზრდას და მისთვის გადამწყვეტია ის, რომ ეს ახალგაზრდობა ზნეობრივად სპეტაკი და სულმაღალი იყოს, იყოს პრინციპული და მიზანსწრაფული, ფიზიკურად ჯანმრთელი და მაღალი ესთეტიკური გემოვნებით დამშვენებული.

დიდება ჩვენს მომავალს — ჩვენს ბავშვებს, სამარადისო პატივისცემა მათ აღმზრდელთ — მასწავლებლებს!

პროფესორი
უშანგი ოგოლაძე,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე.






სურათებზე: თერჯოლელი პიონერები; თბილისის 79-ე სკოლის ახალ შენობაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მანანა მაზმიშვილმა პირველი გაკვეთილი მეოთხეკლასელ გოგობიჭებს ჩაუტარა.


არსენ ჩარკვიანისა და გენადი სანაიას ფოტოები.




● ლაჯანურის ხეობაში




● ზიდი ხანდოზე




● ნატახტარი — გორი. მგზავრთა მოსაცდელი პავილიონი



● გიჭვინთას მისადგომებთან



● რიწის გზაზე



● სოხუმი — ეშერა. ხიდი მდინარე გუმისტაზე

რით დავიწყეთ

საქართველოზე ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გადიოდა გზები, რომლებიც მრავალ ქვეყანას აკავშირებდა. გზები ოდითგანვე იყო ქართველი ხალხის სასიცოცხლო წყარო, საზოგადოების ის არტერია, ურომლისოდაც ქარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობიდან გამოსვლა შეუძლებელია.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველო ძირფესვიანად შეიცვალა. ნახევრად ფეოდალური და ნახევრად კოლონიური მეფის იმპერიის პროვინციიდან გარდაიქმნა აყვავებულ რესპუბლიკად, რომლის განვითარებაში საგრძნობი წვლილი შეაქვთ მეგზურებსაც.

1914 წელს საქართველოს ტერიტორიაზე საჭაპანე მთავარი გზების ქსელი 2283,5 კილომეტრს უდრიდა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები კი სულაც უპატრონოდ იყო მიტოვებული. მათი აღრიცხვაც კი არავის უწარმოებია.

ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ძველი გზების აღდგენისა და ახლის გაყვანის საკითხი. უკვე 1929-1930 წლებისათვის სახელმწიფოს დახმარებითა და მოსახლეობის თავდადებული შრომით გზათა ქსელი გაფართოვდა და 6466,5 კილომეტრი შეადგინა, რომელთაგან მაგარსაფრიანი 2290,5 კილომეტრი იყო. სახელმწიფო მნიშვნელობის გზების 70 პროცენტზე შესაძლებელი გახდა ავტომობილით მოძრაობა, მაშინ როცა 1921 წელს ამ ტიპის გზების მხოლოდ 10 პროცენტი ვარგოდა საავტომობილოდ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1924 წელს საქართველოში იყო მხოლოდ 575 ყველა სახის ავტომობილი — მსუბუქი, სატვირთო, სპეციალური, გამწევი, ავტობუსი. 1927 წელს მანქანათა რიცხვმა 844-ს მიაღწია, 1932 წელს კი 1474-მდე გაიზარდა.

საყურადღებოა ისიც, რომ საბჭოთა კავშირში პირველი შავსაფენიანი ასფალტ-ბეტონიანი გზა დაიგო საქართველოში 1929 წელს სამხედრო გზის დასაწყისში.

გზათა მასობრივი მშენებლობა რომ დავიწყეთ, ძალზე სუსტი იყო საგზაო ორგანოების მექანიზმებითა და ავტომობილებით აღჭურვა. 1938 წელს გზის მშენებელთა განკარგულებაში ირიცხებოდა სულ 129 ყველა სახის ავტომობილი და 100 სხვადასხვა ძირითადი მექანიზმი, მაგრამ ხალხის ენთუზიაზმს თავისი გაჰქონდა.

დიდი საგზაო სამუშაოები შესრულდა მეორე ხუთწლედში (1933-1937), როცა საფუძველი ჩაეყარა ისეთ გზებს, როგორიც არის სურამი-ძირულა, ჭვარი-ზაიში-მესტია, ფშავ-ხევსურეთი, ყინვალი-ბარისახო, ბზიფი-რიწა, ცაგერი-ლენტეხი, იმერა-ბოგდანოვკა და სხვა. დამთავრდა რკინა-ბეტონის ხიდების აგება ქუთაისი-მაიაკოვსკის გზისა ყვირილაზე, სოფელ კავთისხევთან მტკვარზე, სართიჭალასთან იორზე, გორში ლიახვზე და სხვა.

1938 წლის დამდეგისათვის საქართველოში შავსაფრიანი გზების განფენილობამ უკვე 282 კილომეტრს მიაღწია.

მესამე ხუთწლედში (1938-1942) საგზაო მშენებლობა კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს ითვალისწინებდა — უნდა გაყვანილიყო ნატახტარ-გორის გზა, ჩატარებულიყო რეკონსტრუქცია საქართველოს სამხედრო გზისა ანანურ-ფასანაურის მონაკვეთზე, აგებულიყო ხიდები ზუგდიდთან, სოხუმთან, რესპუბლიკის უმთავრეს გზებზე უნდა ჩატარებულიყო შავსაფრიანი გზების მოწყობა, რომელთა განფენილობას 800 კილომეტრამდე უნდა მიეღწია... ფაშისტური ურდოების ვერაგულმა თავდასხმამ მესამე ხუთწლედში დასახული ამოცანების შესრულება მტერზე საბოლოო გამარჯვებამდე გადადო. სამამულო ომის დამთავრებისთანავე გადაისინჯა საავტომობილო გზების განვითარების ტემპები, ავითვისეთ და გაფართოვდა მიწასათხრელი და საგზაო-სამშენებლო მექანიზმების გამოშვება.


1956 წელს მანამდე არსებული სხვადასხვა უწყების საგზაო ორგანოები შეერთდნენ და ჩამოყალიბდა ერთიანი მეურნეობა, როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების დამოუკიდებელი დარგი, რამაც გზის მშენებლობაზე დადებითად იმოქმედა.

1956 წლისთვის ჩვენი საავტომობილო გზების განფენილობამ მიაღწია 16.861 კილომეტრს, რომელთაგან 11,541 კილომეტრი დაფარული იყო მაგარი საფარით, ხოლო 2147 კილომეტრი — შავი საფარით.

შეკეთდა გზები გასრულყოფებული საფარის მოწყობით: სურამი-რიკოთის უღელტეხილი; ძირულა-ზესტაფონი-ჭუთაისი-სამტრედია; ტბილისი-მცხეთა-ანანური-ფასანაური; გორი-ცხინვალი-ქვაისი-ონი; ქუთაისი-ალპანა-ონი-შოვი, შავი ზღვის სანაპირო გზატკეცილის დიდი უბნები; თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხე; თბილისი-გომბორი-თელავი. დამთავრდა რიწის ტბისკენ მიმავალი გზის რეკონსტრუქცია, რომელიც ზღვის დონიდან 950 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და ერთ-ერთი კეთილმოწყობილი მაღალმთიანი გზაა.

აიგო მაღალმთიანი საძოვრებისაკენ მიმავალი გზები: ფშაველი-ბანო და ბარისახო-შატილი. დამთავრდა კურძუ-ლებარდეს გზის რეკონსტრუქცია. კეთილმოწყობილი გზებით დაიფარა კოლხეთის დაბლობი. და, ბოლოს, 1956 წლიდან საქართველოს უნიკალურ ისტორიულ ძეგლებთან—გელათი, ხერთვისი-ვარძია, ჯვრის მონასტერი, ზედაზენი, შიომღვიმე, ალავერდი, შუამთა — სტუმრები მოდიან ასფალტებული გზებით მიდიან.


საქართველოს მთებში უამრავი მდინარე იღებს სათავეს, გზის მშენებლებს თითქმის ყოველ ნაბიჯზე



● აეროპორტისაკენ მიმავალი ახალი მაგისტრალი



● გზა შატილამდეც გავიდა



● თბილისი — რუსთავი



● სილნაღისაკენ

დარგვაქვს

ებათ ღრმა ხევების, ღრანტეე-
და ხრამების გადაკვეთა, რის-
საც საჭიროა მრავალი ხიდის
ება.

თუ საკავშირო მნიშვნელობის
ებზე რკინა-ბეტონის ხიდების
შენებლობაში მკვეთრი გარდატე-
1948 წელს მოხდა, როცა ერთ-
ულად აიგო რკინა-ბეტონის
ები ისეთ მდინარეებზე, რო-
ც არის მოქცევა, ღელიძგა, ოქუ-
ენგური და სხვა, რესპუბლიკუ-
მნიშვნელობის გზებზე რკინა-
ონის ხიდების მასობრივი მშე-
ობა 1957-1958 წლებში დაი-
, რასაც დიდად შეუწყო ხელი
წელს გორში რკინა-ბეტონის
გონის შექმნამ. ამის გარდა,
ესპუბლიკაში თავი მოიყარა
ების მშენებლობისა და მონტა-
ვის საჭირო დიდძალმა ტექ-
მშენებელთა რიგებს შეემა-
ახალი კვალიფიციური კადრე-
და ხიდებიც საგრძნობლად მო-
და.

რკინა-ბეტონის ხიდების მშენე-
ის მხრივ დღეს სამაგალითოა
რაიონები. მთავარი საავ-
ილო გზები, რომლებიც
ეთის ემსახურება, განსა-
გებულია ალაზნის ორსავე მხარეს
თითქმის პარალელურად. რესპუბ-
ლიკის ცენტრებთან შიდა კახეთის
რაიონებს აკავშირებს გზები, რო-
მლებიც საგარეჯოსა და ცივგომ-
ორზე გადმოდის.

კახეთის რაიონების შემაერთებ-
ელ გზებს კვეთს და ალაზანს ორ-
სავე მხარეს უერთდება ბევრი
მდინარე და ხევი, რომლებზეც
დიდხანს არ არსებობდა არც ერთი
ხიდი. 1954-1965 წლებში კახეთის
რაიონებში აიგო რკინა-ბეტონის
81 ხიდი 2620 მეტრი საერთო სი-
გრძით, რამაც შესაძლებელი გახა-
და დაუბრკოლებელი მოძრაობა.

თუ 50 წლის წინათ ჩვენი გზე-
ბის მოვლა-პატრონობას მხოლოდ
ორი-სამი ათეული სპეციალისტი
ემსახურებოდა, დღეისათვის რეს-
პუბლიკის საგზაო მეურნეობაზე
ზრუნავს ათასამდე უმაღლესი და
საშუალო სპეციალური განათლე-
ბის მქონე ინჟინერ-ტექნიკოსი.
საგზაო მეურნეობები აღჭურვი-
ლია თანამედროვე საგზაო-სამშე-
ნებლო ტექნიკით. მარტო უკანას-
კნელ ხუთწლედში (1966-1970)
საქართველოს საავტომობილო
გზების ქსელში შესაფრიანი გზე-
ბის წილშეწილობა გაიზარდა
1629 კილომეტრით. ამავე პერი-
ოდში მოხდა 800 კილომეტრამდე
სიგრძის შავსაფრიანი გზების რე-
კონსტრუქცია, აიგო კაპიტალური
რკინა-ბეტონის დანაწევრებული,
წინასწარდაძაბული ხიდები, რო-
მელთა საერთო განფენილობა
12.875 გრძივ მეტრს შეადგენს.

ვაზიანის სარკინიგზო გადამკვე-
თზე, მაგალითად, მთლიანად ასაკ-
რეფი გზაგამტარი დამონტაჟდა
ორმოცდაათ დღეში. 1971 წელს
თბილისი-აეროპორტის ჩქაროსნულ
გზაზე ორი ოთხმალიანი გზაგამ-
ტარი, თითო მხარის მოძრაობი-
სათვის, 14 მეტრი სიგანისა და 80
მეტრი სიგრძისა, ბეტონის მონო-
ლითური საყრდენებითა და ასა-
კრეფი მალებით აიგო სამოცდაათ
დღეში. აქვე უნდა აღვნიშნოთ,
რომ ამ კეთილმოწყობილი გზის
მშენებლობა, რომლის სიგრძე 10
კილომეტრია, საბოლოოდ 20 მი-
ლიონი მანეთი დაჯდება.

კონსტრუქციის თავისებურებით
საქართველოში აგებულია ბევრი
უნიკალური ხიდი, რომელთა შო-
რის აღსანიშნავია მდინარე მაგანა-
ზე ვანტური სისტემის ხიდი, რო-
მელზეც მოძრაობა 1932 წლის
ნოემბერში დაიწყო ჭვარი-ცაიში-
მესტიის პირველი 30-კილომეტ-
რიანი გზის გახსნასთან ერთად.
აღსანიშნავია აგრეთვე 1942 წელს
დამთავრებული 60-მეტრიანი ხიდი
ხანდოზე (ფასანაურთან) თაღი
შემკვრელით, დახრილი საკიდა-
რებით რიგი თაღოვანი ხიდებისა,
გამჭოლი მზიდი მსუბუქი კონს-
ტრუქციებით და სხვა.

დღეისათვის რესპუბლიკის გზე-
ბის საერთო განფენილობამ 21
ათას კილომეტრს მიაღწია.

მთის ოთხი სარაიონო ცენტრის
გარდა (რომელთაგან წლევანდე-
ლი წლის დამლევისათვის დარჩება
მხოლოდ ერთი — მესტია) ყველა
დანარჩენი რესპუბლიკის მთა-
ვარ საავტომობილო გზებთან
დაკავშირებულია გასრულყოფი-
ლებული საფარიანი გზით.


დღეისათვის საქართველოს უმე-
ტეს გზაზე შეიძლება მოძრაობა
100 და მეტი კილომეტრი სიჩქა-
რით საათში, საავტომობილო მო-
ძრაობა დღეს უველგან ხელმისა-
წვდომია.

გზისპირას მგზავრებისათვის
მრავლად არის აგებული პავილი-
ონები, რესტორნები, კემპინგე-
ბი...


კარგი პერსპექტივებია დასა-
ხული მეცხრე ხუთწლედში. შავ-
საფრიანი გზების სიგრძე 1 500
კილომეტრით გაიზრდება, აიგება
10.000 გრძივ მეტრზე მეტი რკი-
ნა-ბეტონის ხიდები, რომელთაგან
ბევრი ადგილობრივი მნიშვნელო-
ბის გზებს მოემსახურება. ამ სამუ-
შაოებზე საქართველოში დაიხარ-
ჯება 350 მილიონ მანეთზე მეტი.

მეგზურები საქართველოს კო-
მუნისტური პარტიისა და მთავრო-
ბის დახმარებითა და მზრუნველო-
ბით კვლავ დიდი ენერგიით იმუშა-
ვებენ ჩვენი წარმტაცი რესპუბლი-
კის გზების მოსაწყობად.

გიორგი როგიტაშვილი,
საქართველოს სსრ საავტო-
მობილო გზების მინისტრი.



ქინ-ვალი



მწვანედ აშოლტილ მთებს შორის შფოთიანად მოსჩქეფს არაგვი და მზის სხივებზე ვერცხლისფრად ლიცლიცებს მისი მოქნილი დინება.

ალაგ ირმის რქებივით იტოტება...

ალაგ ნაწნავივით იგრიხება...

მოსჩქეფს და მოაქვს კავკასიონის ყინულოვანი მთების ომახიანი შუილი.

ჩაუვლის ანაურს.... ქინვალს...

მერე თანდათან მშვიდდება, დინჯდება და მცხეთასთან ეხუტება დატბორილ მტკვარს.

უხსოვარი დროიდან ემსახურებოდა არაგვი თავის ხეობაში მცხოვრებ ადამიანებს — მის წყალს სასმელად იყენებდნენ, ნათესებს რწყავდნენ...

ზვიადი მდინარე კი, როგორც ეტყობა, უფრო დიდ საქმეზე ოცნებობდა...

ქინვალში დაიწყო საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ქინვალჰესის მშენებლობა. 90-მეტრიანი კაშხალი გადაეღობა არაგვის ხეობას. შეიქმნება უზარმაზარი ხელოვნური ზღვა. მდინარის დაუცხრომელი ენერგია სინათლედ და სითბოდ იქცევა, იორთან ერთად ჯახეთის ვილებსაც მორწყავს, სასმელი წყლითაც მოამარაგებს თბილისსა და რუსთავს...

მაგრამ ეს შვიდი წლის შემდეგ მოხდება, დღეს კი...

ქინვალში გაცხარებული მუშაობა მიმდინარეობს. ვის არ შეხვდებით — მშენებლებს, არქეოლოგებს, გეოლოგებს... განსაკუთრებით არქეოლოგები არიან აქაურობით დაინტერესებული.

გვესაუბრება ქინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის უფროსი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი რამინ რამიშვილი:

— ეტიმოლოგიურად ქინვალი დროთა განმავლობაში შეცვლილი შესატყვისია ქინვანისა, რაც მეგრულს ესადაგება და ნიშნავს ზემო ვანს.

ქინვანი ჩვენი ვარაუდით ადრეფეოდალურ ხანაშიც არსებობდა, მაგრამ განსაკუთრებული აღზევება XII-XIII საუკუნეებში განიცადა. ამ დროს ის საქართველოს ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური და სავაჭრო მნიშვნელობის ქალაქი ყოფილა. ქინვანზე გამავალი საქარავნო გზა საქართველოს უმთავრეს ქალაქებს თბილისსა და მცხეთას ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა.

ის გარემოება, რომ ქინვანი მთებისაკენ გასასვლელ ჭიშკარს წარმოადგენდა, მას უდავოდ პოლიტიკური მნიშვნელობის ქალაქადაც ხდიდა. ქართველ მეფეებს მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ თავიანთი გავლენა მთის მოსახლეობაზე გაევრცელებინათ.

ქინვანი გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველადაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო.

თამარის ციხე...

დედაციხე...

ყელის ციხე...

ციხე-კოშკთა სიმრავლე და ხელსაყრელი ადგილმდებარეობა უეჭველად ამტკიცებს ამას.

საქართველოში ძველი ციხე კი არა, ქამისაგან სავსმოკიდებული ლოდიც არ არის, თამარ მეფის სახელთან რომ არ იყოს დაკავშირებული. ამ მხრივ არც ყელის ციხეა გამონაკლისი.

„თამარ მეფემ ამაშენა
სისხლის წვიმის წინა წელსა,
არაგვიდან ქვა ეზიდა,
ხელი მიაწვდიდა ხელსა“.

ნათქვამია ხალხურ ლექსში, მაგრამ მარტო ზეპირსიტყვიერებიდან კი არა, ისტორიული დოკუმენტებითაც ჩანს თამარის უეჭველი კავშირი ქინვანთან, სადაც ჯერ კიდევ მის მამას — გიორგი მესამეს სამეფო სასახლე ჰქონია და რაც შემდეგ თამარს თავის მეჭურჭლეთუხუცეს ჭიაბერისათვის უბოძებია. და ეს ჭეშმარიტად მდიდარი წარსულის მქონე ადგილები წყლით უნდა დაიფაროს... ამიტომაც მუშაობენ არქეოლოგები... შვიდი წელიწადი კი მცირე დრო როდია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს დიდი ღონისძიებები აქვს დასახული წყლით დასაფარი ტერიტორიის შესასწავლად და საუკუნეების მანძილზე მიწის სიღრმეში ჩამარხული ძვირფასი ისტორიული მასალის წარმოსაჩენად. ძეგლთა დაცვის სამმართველოს განზრახული აქვს ყველაზე ძვირფასი ძეგლების თბილისში, კუს ტბის მიდამოებში გადმოტანა და შემცირებული მასშტაბით აღდგენა.

შთამომავლობამ უნდა იცოდეს ჩვენი წარსულის ძეგლთა ღირსება.

შარშან ქინვალის მიდამოებში გვიანანტიკური (არმაზული) ხანის სამარხებს მიაკვლიეს მეცნიერებმა. არმაზის ერისთავის სამარხის გახსნისას უძვირფასესი ექსპონატები იპოვნეს... ვერცხლისფეხები ერისთავის სარეცლისა... ვერცხლისავე თასი, ოშვიათი ოსტატობით გაკეთებული... ბეჭდები ვერცხლისა... მძივები მინისა და გიშრისა... წყვილი ოქროს საყურე... კერამიკა. უბრალო თიხის ჭურჭლის ნამტვრევსაც კი ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება ამდენი ხნის შემდეგ.

წლეულს მუშაობა ზედ ქინვალის ტერიტორიაზე გაჩაღდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ივანე ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ საქმეს. დილიდან საღამომდე თაკარა მზის სხივებზე პრიალებდნენ წერაქვები და ნიჩბები. იყრებოდა მიწა, იხსნებოდა სამარხები. დაღლას არავინ გრძნობდა. უჩვეულო მოლოდინით იყო ყველა შეპყრობილი.

და აი გამოჩნდნენ პირველი მერცხლებიც:

შუაფეოდალური ხანის კერამიკის ნიმუშები, ბრინჯაოსა და მინის სამაჯურები, ოქროს საყურე ჭვირული ორნამენტით.

მეც მონაწილე ვიყავი ამ ექსპედიციისა, მეც ველოდი. წერაქვის ყოველი გაწკრიალებისას ტანში ჟრუანტელი მივლიდა, მერე აკანკალებული ხელებით, ვინ იცის, მერამდენედ ვსინჯავდი მოთხრილ მიწას...ცხლა კი ანაზურში არაგვის პირას ვზივარ, შრომით კი არა, აღმოჩენის სიხარულით დაღლილ მეგობრებთან ერთად. გიზგიზებს კოცონი, ტკაცატკუცი გაუდის ფიჩხს. ანაურის ვარსკვლავებით მოოჭვილ ცაზე ხომალდივით მიცურავს მთვარე...

გაივლის წლები და ეს ადგილები წყლით დაიფარება...

მარტოდენ ანაურის ზვიადი ციხე დარჩება ძველებურად... კვლავაც შეჯარდება ხეობის ნიავი სათოფურებში და მზით გახურებულ მამაპაპურ კედლებს გაუგრილებს. არაგვის ჭაბუკური სიმღერას შეჩვეული ამ ისტორიის ცოცხალ მოწმეს პირველად შეიძლება არც კი ჩაეძინოს... მერე შეეჩვევა. შეეჩვევა და მის თვალწინ დავაჟკაცებული, ზღვადაცული მდინარის ტალღების საამო ფშვინვაში ჩასთვლემს...

ათი წლის შემდეგ მეგობრები ისევ ეწვევიან ქინვალს, ანაურს. მსუბუქი სეტდით ჩააცქერდებიან ზღვის მწვანე ტალღებს. ზღვისა, რომლის ფსკერიდან წყნარად ამოტივტივდება მათი მღელვარე ახალგაზრდობის ერთი ლამაზი მოგონება.

ენვერ ნიჟარაძე.

ანაური
1972 წელი.





სურათებზე: ზევით — დედა-ციხე... რომელიც ქინვალელმა უნდა შეინარჩუნოს. ქვევით — არქეოლოგიური გათხრები.

გოგი გაქანიძის ფოტოები.

ხალხური სიმღერების მოამაგე

ქალაქ წალენჯიხის ჩრდილოეთით, მდინარე ჭანისწყლის ლამაზ ხეობაში სამეგრელოს მთების კალთებს შეჰფენია სოფელი ჯგალი. აქ მშრომელი გლეხის ზოსიმე სალიას ოჯახში 1905 წელს დაიბადა ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი მოამაგე ვლადიმერ სალია. პატარა ვალოდიამ დედის შთაგონებითა და ხელმძღვანელობით ისწავლა ძველი ქართული ხალხური სიმღერები, ხოლო ზუგდიდის ცხრაწლიან სკოლაში სწავლის დროს ეროვნული მუსიკისადმი სიყვარული კიდევ უფრო გაუღრმავა ცნობილმა ქართველმა ლოტბარმა, ამ სკოლის მუსიკის მასწავლებელმა გალაქტიონ ჭელიძემ.

1924 წელს ზუგდიდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ სალიამ მასწავლებლად დაიწყო მუშაობა მშობლიურ სოფელში. აქ ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი. მოკლე ხნის განმავლობაში ახალგაზრდა პედაგოგმა საუკეთესოდ შეასწავლა გუნდის წევრებს მრავალი სიმღერა. შვიდი წლის მანძილზე გუნდი მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოდიოდა თანასოფლელთა წინაშე და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა.

უმაღლესი ცოდნის მისაღებად ვლადიმერმა 1932 წელს თბილისს მოაშურა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩაირიცხა. წარჩინებული სტუდენტი აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა სტუდენტი ვახტანგ წერეთელი.

1937 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ სალიამ წალენჯიხის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა მევენახეობის აგრონომად. ამასთან არც ხელოვნებას ღალატობდა — წალენჯიხის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, რომელსაც ცნობილი ლოტბარი ივანე ჩომახია ხელმძღვანელობდა, იგი ერთ-ერთი წამყვანი მომღერალი იყო. ივანე ჩომახიას ნებართვით ხშირად დამოუკიდებლად გამოჰყავდა კონცერტებზე ანსამბლი, რომელიც მაყურებლის დიდ მოწონებას იმსახურებდა.

1948 წელს წალენჯიხის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელობა ვლადიმერ სალიას დაეკისრა. ანსამბლს იგი ნიჭიერად ხელმძღვანელობდა 1954 წლამდე. მან რამდენიმე ათეული სიმღერა შეასწავლა ანსამბლის წევრებს, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებით გამოდიოდნენ წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის რაიონების მშრომელთა წინაშე. ამასთან ერთად ანსამბლმა აღიარება ჰპოვა VI და VII რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

1954 წლის დამდეგიდან 1966 წლამდე სხვადასხვა დროს ვლადიმერ სალიამ წალენჯიხის ჩაის პირველ ფაბრიკასთან, ადგილობრივი მეურნეობის კომბინატთან და სოფელ ჯგალის კოლმეურნეობასთან შექმნა მომღერალთა გუნდები, რომლებიც ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მსმენელთა შორის.

ამჟამად ვლადიმერ სალია 67 წლისაა და პენსიაზეა, მაგრამ



კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით ხელმძღვანელობს წალენჯიხის კულტურის სახლთან არსებულ ვოკალურ ანსამბლ „ბედინერას“. მან ანსამბლის წევრებს შეასწავლა 50-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა. ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერები: „სამშობლო“, „თბილისი“, „შრომა“, „ენგური“, „ვახტანგური“, „ჩუხი ბედინერი“, „დარაია“, „მოძახილი“ და სხვა დიდად მოწონებულია.

ხელოვნებისათვის გაწეული უანგარო სამსახურისათვის ვლადიმერ სალია დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს თვითმოქმედი ხელოვნების რესპუბლიკური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის დიპლომით, 1971 წელს მხატვრული თვითმოქმედების სატელევიზიო ფესტივალის დიპლომით, ვერცხლის მედლით.

როგორც რაიონის მთავარ აგრონომს, წარჩინებული მუშაობისათვის ვლადიმერ სალიას მიღებული აქვს სამი მედალი და მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდება.

ამაგდარ მოღვაწეს წარმატებას ვუსურვებთ ქართული სიმღერების შემონახვის, განვითარებისა და შთამომავლობათათვის გადაცემის კეთილშობილ საქმეში.

ალექსანდრე მიქაძა,
დოცენტი.

„პირველი მეგობრული წერილი“

ამ დღეებში გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა ცნობილი თანამედროვე თურქი მწერლის ჰალდუნ თანერის მოთხრობების კრებული „თორმეტს აკლია ერთი წუთი“. თარგმანი ეკუთვნის ლია ჩლაიძეს. წიგნს ერთვის ავტორისა და მთარგმნელის წინასიტყვაობანი. ქართული გამოცემისათვის სპეციალურად დაწერილ წინათქმაში თანერი აღნიშნავს: „ჩემი მოთხრობების ქართულ ენაზე თარგმანს ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს — დიდედით მეც ქართველი ვარ. ჩვენს ოჯახში უფროსები ქართულად ლაპარაკობდნენ, ხშირად აწვდიდნენ ხმას საქართველოს, იცავდნენ ქართულ ადათ-წესებს. შარშან, როცა პირველად ჩამოვედი საქართველოში, უცნაური გრძნობა დამეუფლა. თითქოს აღრეც ვყოფილიყავი აქ. ქართველი ერი, ქართული ყოფა, ქართული მუსიკა — ახლობლად ვიცანი. საქართველოს ბუნება, მისი ჰავა, ძალიან ახლობელი მეჩვენა.

არ ვიცი, ქართველები გულთან ახლოს მიიტანენ თუ არა ჩემს ნაწარმოებებს?

ქართულ ენაზე გამოსული ჩემი პირველი წიგნი ყოფილიყოს ქართველი მკითხველებისადმი პირველი მეგობრული წერილი, რომლითაც თანამოაზეს მათგანს კეთილ სურვილებს ვუთვლი“.

ბარაქალა, ჩვენო ოლიმპიელებო!









სურათებზე: ზევიდან — ლევან თედიაშვილი (მარცხნიდან), დიტო შანიძე (მარცხნიდან), შოთა ჩოჩიშვილი, გივი ონაშვილი, ფხაკაძე, ომარ სახელი.





ოქროდე დღეც და ოლიმპიური ცეცხლი, მიუნჰენის თავზე რომ გიზგიზებს, ჩაქრება. პლანეტის უძლიერესი სპორტსმენები თავიანთ ქვეყნებს მიაშურებენ და ეხლა იქ გადაიბდიან ნანახისა და განცდილის საკადრის ზეიმს. რა თქმა უნდა, ბევრს დამარცხებულის სინანულიც გაჰყვება, მაგრამ მთავარი მაინც თვით ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ფაქტია და ყველამ, ვინც ოლიმპიადის დადებულ ფიცს უერთგულა, იმ კვარცხლბეკზე დაიმკვიდრა ადგილი, რომელზედაც საუკეთესოთა შორის საუკეთესონი ადიან...

საბჭოთა მიწა-წყალიც ოლიმპიელთა მოლოდინშია.

მოსკოვი თუ ლენინგრადი, კიევი თუ თბილისი ერთნაირი სიხარულით ჩაიკრავს გულში ლუდმილა ტურიშჩევასა და ვალერი ბორზოვს, ალექსანდრე მედვედსა და ვლადიმერ ვასინს, ვლადიმერ სიდიაკსა და ოლღა კორბუტს...

რაღა თქმა უნდა, სამშობლოს სითბო და სიყვარული ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებსაც არ მოაკლდება... ქართველ ოლიმპიელთა გამარჯვებებზე უფრო ვრცლად მომავალში ვისაუბრებთ, დღეს კი მოკლედ მოგითხრობთ, მიუნჰენიდან საქართველოში ვის მოაქვს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები...

* * *

პირველი მახარობელი თავისუფალი სტილის მოჭიდავე ლევან თედიაშვილი გახლავთ. ახალგაზრდა ფალავანმა საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს კიდევ ერთი უმაღლესი ტიტული — მიუნჰენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტულიც შემატა. პირველ საშუალო წონით კატეგორიაში, სადაც მსოფლიოს ბევრი გამოჩენილი ფალავანი იბრძოდა, ლევანმა ყველა დაჯაბნა და გამარჯვებაც მას დარჩა.

* * *

ოქროს ვერცხლიც მოჰყვა. მსოფლიო რეკორდსმენმა, ქვემსუბუქი წონის ძალოსანმა დიტო შანიძემ სამჭიდში 400 კილოგრამი დააგროვა. ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი ახლო იყო, მაგრამ სპორტი სწორედ იმით არის კარგი, რომ იგი აღსავსეა მოულოდნელობებით... დიახ, ახალგაზრდა ბულგარელმა ძალოსანმა შესძლო „საკუთარი ხასიათის“ ჩვენება და დიტოზე 2,5 კილოგრამით მძიმე შტანგა ასწია — ამან კი ჩვენს ოსტატს ოქრო ვერცხლით შეუცვალა. და მაინც, აფერუმ შენს ვაჟკაცობას, დიტო შანიძევ!

* * *

მძიმე წონის ძიუდოისტ გივი ონაშვილისათვის მართალია, ბრინჯაოს მედალი ურიგო არ არის, მაგრამ მსაჯებს მეტი ობიექტურობა რომ გამოეჩინათ, მედალიც უკეთესი ხარისხისა იქნებოდა. ნახევარფინალში გივის მიერ მოპოვებული გამარჯვება, რომელიც მსაჯებმა უკვე გამოაცხადეს, რატომღაც საეჭვოდ იქნა მიჩნეული და ქართველი ფალავანი მეტოქეს ხელახლა დაუჭიდეს. თანაბარი ძალის მეტოქის ზედიზედ ორჯერ დამარცხება, რა თქმა უნდა, ძნელია. ამჯერად თვითონ გივი დამარცხდა და საბოლოოდ, როგორც ვთქვით, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

* * *

აი რა გაღმოსცეს მიუნჰენიდან საკდესის კორესპონდენტებმა ძიუდოისტ შოთა ჩოჩიშვილის გამარჯვების შესახებ: „1 სექტემბერს ღამით საზღვარგარეთული საagენტოების კორესპონდენტები მოდიოდნენ პრეს-ცენტრში მოთავსებულ საკდესის ოთახში და თავიანთ საბჭოთა კოლეგებს გაოცებული ეკითხებოდნენ: ვინ არისო ეს შოთა ჩოჩიშვილი, ოლიმპიადის ახალი ჩემპიონი?.

სპორტის ამ სახეობის ყველაზე დიდი მცოდნე იაპონელებიც კი, რომელთაც მსოფლიოს ყველა ძიუდოისტის დოსიე აქვთ, იძულებული იყვნენ საბჭოთა ჟურნალისტებისათვის მიემართათ...

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტის, 22 წლის შოთა ჩოჩიშვილის გზა საპატიო კვარცხლბეკისაკენ წარმატებებისაგან და... მარცხისაგან შედგებოდა. ჯერ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, იაპონელი პოლიციელი სასახარა სძლია, მაგრამ მაშინვე წააგო ინგლისელ სტარბრუკთან. სანუგეშო ტურნირის იმედი-ღა რჩებოდა და ქართველმა ფალავანმა იგი „წმინდად“ განვლო: ნახევარფინალში შეჯიბრების მასპინძელი ბარტი დაამარცხა, ფინალში კი კვლავ სტარბრუკს შეხვდა და... გაიმარჯვა“...

* * *

მიუნჰენიდან ბრინჯაოს მედლით მკერდდამშვენებული დაგვბრუნდება საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ტრეკზე სპრინტერულ რბოლაში ომარ ფხაკაძე.

მსგავსი წარმატებისათვის ჯერჯერობით არცერთ საბჭოთა სპორტსმენს არ მიუღწევია. ომარ ფხაკაძის პოტენციალური შესაძლებლობა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თავისი წარმატებებით მომავალშიც მრავალგზის გვასახელებს.

* * *

ამბობენ — ჩემპიონის ტიტულის მოპოვება უფრო ძნელია, ვიდრე მოპოვებულის შენარჩუნებაო. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა სამხტომში მექსიკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის სოხუმელი ვიქტორ სანეევის ორთაბრძოლები ვიხილეთ.

ბოლო წუთებამდე ძნელი გამოსაცნობი იყო, ვის დარჩებოდა გამარჯვება, მაგრამ ჩვენი სპორტსმენის პირველი ნახტომი — 17 მეტრი და 35 სანტიმეტრი, ყველასათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა... საქართველოს კიდევ ერთმა ოქროს მედალმა მოაშურა.

* * *

გაზეთი „სამშობლო“ ულოცავს ჩვენს საბჭოთა ოლიმპიელებს, მიუნჰენის ბრწყინვალე ოსტატებს, გულში იკრავს ჩვენი მიწა-წყლის ყველა მკვიდრს, ყველას უკლებლივ, წარმატებულსაც და უჩინოსაც!

როცა წავიდა...

...იყო ოლღა დავითაია — მშრომელი, შვილზე გულდაფაცებული. ჰქონდა ჩვეულებრივი ბიოგრაფია — დაბადებულა აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოში, პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიუღია. დაუმთავრებია ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი და თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტიც.

სიცოცხლე მოულოდნელად დასრულდა — ქვეყნად დატოვა ერთი ვაჟი, ორი პოემა და ოთხმოცამდე ლექსი... მისი პოეზია ქართველი მკითხველისათვის უცნობად დარჩა ერთი უბრალო, მაგრამ გულსატკენი მიზეზითი: არასოდეს არ შეუღია რედაქციის კარები... ოლღა დავითაია იწვოდა სამშობლოსა და პოეზიის სიყვარულით ისე, რომ მისმა ერთად-ერთმა სანუკვარმა ვაჟიშვილმაც კი არაფერი იცოდა ამის შესახებ.

— როცა შემთხვევით საავადმყოფოში დაწერილი დედაჩემის ლექსები ვნახე, მივხვდი, რომ ხალას პოეზიასთან მქონდა საქმე და მათ ავტორს სხვა ლექსებიც უთუოდ უნდა ჰქონოდა. ვეძებე და ვიპოვე ის ლექსები და პოემები, დედაჩემმა ერთად-ერთ მემკვიდრეობად რომ დამიტოვა, — გვითხრა ოლღა დავითაიას ვაჟიშვილმა. თან დედისეული ლექსები მორიდებით გადმოგვცა. რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.

ქართველი რომ ვარ

ქართველი რომ ვარ,
დღეს სიამაყით
მე ეს მაღმერთებს,
სხვა საამაყო
არც
არა მინდა,
დიდებას აფრქვევს
კრწანისის ველთან
ფერად ხავერდებს
არაგვიანი
ხმა
არაგვიდან,
. . . . . .
არვინ გაბედოს
ბუმბერაზი
სულის ხელყოფა, —
ქართველი რომ ვარ, საამაყოდ მე ეს მეყოფა!

თეთრი ქლეგი

ავტირებულვარ სადაც პირველად,
და რომელ ფერსაც
უგრძვნია ჩემი
ქვეყნად გაჩენა,
გამიცინია გასაკვირველად —
თუნდ ერთი წუთით
ბავშვობის დილა
კიდევ მაჩვენა.
გამხარებია სადაც პირველად
ჩვენს ძველ ეზოში,
ღიმილი ჩემი,
მზეს რომ თან ახლდა,
სადაც მომავალს კეთილს პირდება,
გაზაფხული და
ამბიბინება მწვანე ბალახთა.
იმ ძველ ეზოში მიგრძვნია სითბო,
სად ქართველობა,
გამხარებია
ჩემი დედ-მამის —
სადაც მამულზე პირველად ფიქრობ,
ჩემო ბავშვობის
დილავ,
მიმიშვი
წუთით შენამდის!
თურმე ცხოვრების გზაზე მოელი,
ერთ მშვენიერ დღეს
რომ დაბრუნდება
შენი ბავშვობა,
დამიანზე მუდამ მლოცველი
იგრძნობ, ფიქრები
არასაამო
როგორ დაგშორდა.
ავტირებულვარ, სადაც პირველად,
გახარებიათ,
სადაც ჩემი
ქვეყნად გაჩენა,
მიგვრძნია მიწა, მზით რომ ირთვება,
თუნდ ერთი წუთით,
ბავშვობის დილა
კიდევ მაჩვენა.

სიზმარი

ო, ჩემი დედა,
ჩემი და-ძმანი
და ჩვენი ოდა,
ჩვენი ფიცრული,
ჩემი სულის სიმშვიდის ლავრა,
წუხელ სიზმარში
თეთრი ბავშვი
რას შემჩიოდა —
მეტყველ თვალებში
ცთომილ ვარსკვლავთა შუქი ამრავლა.
ჩემი ცეცხი
საღამო ჟამს
თარს მიკრავდა,
ისიც ვიხილე,
როგორც დედის ტკბილი ზღაპარი,
ამ ხილვამ განცდის
მოაშთო ციხე
ძველ სატკივართა
და განმიახლა
ტალღით დაშლილ ზღვათა ნაპირი,
მწვანე ბალახი,
მხოლოდ მწვანე,
სხვა არაფერი.
მერე ხეები, ეზოს ირგვლივ,
სხვა არაფერი.
და მერე ლურჯი,
ლურჯი ყანა,
სხვა არაფერი,
და ისევ ოდა,
ძველი ოდა,
სხვა არაფერი.
და პოეზია თეთრი ბავშვის დიდი ლამპარი.
ლურჯ სამრეკლოზე,
მთვარის ამბორით
როგორ კრთის ზარი...
გამომეღვიძა.
და თეთრ კედლებში
ჩუმად ჩავფალი,
ჩემი ბავშვობა — უცოდველი ღამის სიზმარი.


აქიკაქაქე

ქართველისათვის
რაა სიმდიდრე,
ყოვლის მთქმელო და არრის მთქმელო,
ხმავ მაღლიანო,
შენ განმიდიდე,
ამიკაშკაშე მზე საქართველოს.
ქართლი, კახეთი,
ფშავ-ხევსურეთი
და მთიულეთი,
მერე მესხეთი, მერე ჰერეთი...
უმანკო გრძნობას
მათ სადიდებელ
ხატს წინ ვუნთებდი,
მზეს მიღწეული სულის ვედრებით.
მთელი ლაზეთი,
აჭარა თუ
ტაო-კლარჯეთი,
რაჭა-ლეჩხუმი, „ლილეო“ სვანთა,
თვრამეტი ღმერთით
უსათუოდ
გავიმარჯვებდით...
თვრამეტი კუთხის დროშა გვმოსავდა.
ჭუჭის მართვენი —
სამეგრელო
და აფხაზეთი,
მერე გურია და იმერეთი...
იდგა სამშობლოს,
აყვავება
და აზავთება,
ნაჩუქურთმალი ვაზის ფერებით.
ქართველისათვის
რაა სიმდიდრე,
ყოვლის მთქმელო და არრის მთქმელო,
ხმავ მაღლიანო,
შენ განმიდიდე,
ამიკაშკაშე მზე საქართველოს.

დედაენა

საზღვარგარეთელ თანამემამულეთათვის
შედგენილი გალერიან რამიშვილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით

გაკვეთილი 27




ცელი
ცე-ლი
ც ე ლ ი
ც

ცა. კა-ცი. ცი-ცი-ნა-თე-ლა. ცხე-ნი.

ცაცხვი ხეა. კვიცი ცხენს მისდევს. ბალახს ცელით ცელავენ. ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ.

ბაბას წეალი დაალევინეს. ბაწია ვაჟა ციცინათელებს დასდევს. ჰელო ჰურს აცხობს.

ანდაზა. წინა კაცი უკანა კაცის სიდიაო.



გაკვეთილი 28



ბატი
ბა-ტი
ბ ა ტ ი
ტ


კა-ტა. ტო-რო-ლა. ტე-ლე-ფო-ნი. მეტ-რო.

ბატი თეთრია. ტუმპალი აუკავდა. კატა წევს. ტოროლა ფრინველია. უმაწვილი ტელეფონით ლაპარაკობს.

ნინო ჰეჰელას სატავს. ვაჟა და ცოტნე ტელევიზორს უყურებენ.

მეტრო თბილისის მშვენებაა!

ანდაზა. ბუზი ბევრი ბზუისო, ფუტკართან უველა ტუისო.



არ დაივიწყოთ, ისწავლეთ მშობლიური ქართული!

„ქარვის ფირფიტის“ მფლობელი



ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ „ორერას“. მრავალჯერ დაგვიწერია და აღგვინიშნავს მათს წარმატებებსა და მიღწევებზე. ამ შესანიშნავ კოლექტივს თავისი ბრწყინვალე საშემსრულებლო ოსტატობით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხი მოუხიბლავს. როშელ ქვეყანასაც ეწვივნენ ჭართული საესტრადო მუსიკის ეს საპატიო დესპანები, უველგან ერთსულოვანი აღტაცება და სიყვარული დაიმსახურეს. პრესა, რადიო და ტელევიზია გულთბილ სტრიქონებსა და საინტერესო გადაცემებს უძღვნიან მათ.

სულ ცოტა ხნის წინათ „ორერამ“ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. პოლონეთის თვალწარმტაც საკურორტო ჭალაჭ სოპოტში გაიმართა ტრადიციული, რიგით მეცამეტე საესტრადო სიმღერების საერთაშორისო ფესტივალი დევიზით — „სიმღერას არა აქვს საზღვარი“. ჭკ თავი მოიყარეს მსოფლიოს თითქმის უველა კუთხის ესტრადის მომღერლებმა და მოყვარულებმა. ფესტივალზე დაწესებული იყო სამი უმთავრესი პრემია. პირველი — პოლონური სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის, მეორე — საუკეთესო სიმღერისათვის, მესამე — ვოკალური ანსამბლებისათვის, რომლებიც „ქარვის ფირფიტის“ მოსაპოვებლად იბრძოდნენ.

ჩამოთვლილ პრემიათა რიგი ზუსტად როდი განსაზღვრავს მათ მნიშვნელობას. პირიქით — მესამე პრემია, მაგალითად, შეიძლოა უველაზე უფრო საპატიოც იყოს, რადგან მსოფლიოს საუკრმაფინო ფირმები გამარჯვებული ანსამბლის სიმღერებს დიდი ტირაჟით ავრცელებენ თავიანთ ქვეყნებში და ამდენად მნიშვნელოვან პოპულარიზაციას უწევენ მათ.

საბჭოთა კავშირის მუსიკალურმა ფირმამ „მელოდიამ“ სოპოტის ფესტივალზე პაექრობა ჩვენი ქვეყნის გამოცდილ ანსამბლს „ორერას“ მიანდო.

„ქარვის ფირფიტის“ კონკურსის პირობები ითვალისწინებდა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სიმღერის შესრულებას. „ორერამ“ კონკურსზე შეასრულა ჯანსულ კახიძის „კრიმანჭული“ და უკრაინული პოპულარული სიმღერა „ჩერვონა რუტა“. ამ დიდ პაექრობაში „ორერამ“ კონკურსის უველა პირობა წარმატებით შეასრულა, მაყურებელი და ყიური მოხიბლა მაღალი ოსტატობით და სოპოტის ფესტივალის ლაურეატი გახდა — მოიპოვა „ქარვის ფირფიტა“.

სურათზე: ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი „ორერა“ სოპოტში გამგზავრების წინ.

დაგეძებენ, მოგელიან

თედო მელიტონის ძე
მაისურაძეს,

დაბადებულს 1920 წელს ახმეტის რაიონის სოფელ საჩალეში, ეძებენ დედა — ვარა, დები — ანა, მარო, ქანო მაისურაძეები, მცხოვრებნი თბილისში, ცხრა ძმის ქუჩა № 42.

ალექსანდრე (ოქრო)
გრიგოლის ძე
ზალდასტანიშვილს,

დაბადებულს 1920 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში, ეძებს დედა — ლოლა ზალდასტანიშვილი, მცხოვრები თელავში, რუსთაველის ქუჩა № 17.

ვასტანგ ვასილის ძე
რაზმაძეს,

დაბადებულს 1918 წელს თბილისში, ეძებენ დედა — მარიამ გოძიაშვილი, ძმა — გიორგი, რძალი — თამარ რაზმაძეები, ძმა—ნოე, და — თინა ლაშხები, ძმისწულები — ლიანა და ლუიზა რაზმაძეები, მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 36 (58).

ერდიშხან (დურმიშხან)
ალექსის ძე გარაყანიძეს,

დაბადებულს 1918 წელს მახარაძის რაიონის შემოქმედის სასოფლო საბჭოს სოფელ გომში, ეძებენ დედა — სერმილო, ძმა — იაშა, რძალი — მერი, ძმისწულები — იაშა, ვაჟა გარაყანიძეები, მცხოვრებნი სოფელ გომში.

სიმონ და ზოთა
ონისიმეს ძე კილაძეებს,

დაბადებულთ 1920 და 1921 წლებში ჭიათაისში, ეძებენ დედა — ეკატერინე, და — ჭეთევან კილაძეები, მცხოვრებნი ჭიათაისში, წულუკიძის ქუჩის მე-8 შესახვევი № 8.

დიმიტრი ხვთისოს ძე
ბაძრაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ბორჯომის რაიონის სოფელ ჰობისხევში, ეძებენ დები — თამარა, საშა, მარიამი, ნანული, ძმები — შოთა, გივი ბაჭრაძეები, მცხოვრებნი ბორჯომში, ორჯონიკიძის ქუჩა № 38.

გიგლა და ბარნაბა
კიმოთეს ძე ჯღარკავებს,

დაბადებულთ 1919 და 1922 წლებში გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაგვაზაოში, ეძებენ დედა — ოლია, ძმა — ინდიკო ჯღარკავები, მცხოვრებნი სოფელ ნაგვაზაოში.

ივანე იაგორის ძე
კაკუშვილს,

დაბადებულს 1915 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში, ეძებენ დედა — ნინო, მეუღლე — თამარ, შვილი — ნათელა, შვილიშვილები — გოგიტა და გოჩა სეხნიაშვილები, ძმები — არჩილ და დიმიტრი პაპუაშვილები, მცხოვრებნი თბილისში, ილორის ქუჩა № 13.

ოთარ ივანეს ძე
დათიკაშვილს,

დაბადებულს 1924 წელს თბილისში, ეძებენ დედა — სოფიო, ბიძაშვილები — გივი, ნოდარ და შოთა თეთრაძეები, მცხოვრებნი თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩა № 53.

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.